

## **ნორმის პროექტი მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

### **ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ატრიბუტული მსაზღვრელების საზღვრულთან შეთანხმებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:**

1. **მამა-შვილი** ტიპის ფუძეთანხმოვნიანი კომპოზიტი დანართი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) ნათესაობითსა და მოქმედებითში ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეული ხმოვნით ელემენტს (ისევე, როგორც ეს გვაქვს ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>მამა-შვილ-მა</b>	<b>დიუმ-ებ-მა</b>
მიც.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ით</b>
ვით.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ად</b>
წოდ.	<b>მამა-შვილ-ო</b>	<b>დიუმ-ებ-ო</b>

1.1. ფუძეხმოვნიანი კომპოზიტი დანართი **და-ძმა** ტიპისა თავის საზღვრულს (მრავლობით რიცხვში დასმულ გვარს) შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-მა</b>
მიც.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ით</b>
ვით.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ად</b>
წოდ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ო</b>

1.2. მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ საკუთარ სახელს, კერძოდ – გვარს, რიცხვშიც ეთანხმება ერთი სახის ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი მსაზღვრელი (მაგ., ძმები ორბელიანები, ძმები გრიმები, ძმები კარამაზოვები, დები ჭავჭავაძეები, დები იშხნელები და მისთ.) და შეეწყობა ისე, როგორც ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი, მაშასადამე, ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეული ი ხმოვნით ელემენტს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (როგორც ეს გვაქვს ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	<b>გრიმ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ძმ-ებ-მა</b>	<b>გრიმ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ძმ-ებ</b>	<b>გრიმ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	<b>გრიმ-ებ-ის</b>

მოქმ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ით
ვით.	<b>ძმ-ებ</b>	გრიმ-ებ-ად
წოდ.	<b>ძმ-ებ-ო</b>	გრიმ-ებ-ო

1.3. ზემოთქმულის მიხედვით განისაზღვრება იმ სახის შესიტყვებანიც, როცა გვარი თავად არის მსაზღვრელი (კერძოდ, სუბსტანტიური) და ახლავს საკუთარი დანართი – **ძმები გრიმების ზღაპრები**. ამ შემთხვევაში იპრუნვის მხოლოდ საზღვრული.

სახ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ით</b>
ვით.	<b>ძმ-ებ-ი</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ად</b>
წოდ.	<b>(ძმ-ებ-ი)</b>	გრიმ-ებ-ის	<b>ზღაპრ-ებ-ო</b> )

1.4. დასახელებული ტიპის შემთხვევებში საზღვრული მხოლობითი რიცხვის ფორმითაც წარმოდგება.

სახ.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერა</b>
მოთხრ.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერა-მ</b>
მიც.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერა-ს</b>
ნათ.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერ-ის</b>
მოქმ.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერ-ით</b>
ვით.	<b>დ-ებ-ი</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერა-დ</b>
წოდ.	<b>(დ-ებ-ი)</b>	იშხნელ-ებ-ის	<b>სიმღერა-ვ</b> )

2. სასულიერო პირთა სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები მამა და **დედა** ყველა ბრუნვაში ფუძის სახით დასტურდებიან – ფორმაცვალებადია მხოლოდ პირის სახელი.

სახ.	<b>მამა</b>	<b>პეტრე</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია</b>
მოთხრ.	<b>მამა</b>	<b>პეტრე-მ</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია-მ</b>
მიც.	<b>მამა</b>	<b>პეტრე-ს</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია-ს</b>
ნათ.	<b>მამა</b>	<b>პეტრე-ს(ი)</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია-ს(ი)</b>
მოქმ.	<b>მამა</b>	<b>პეტრე-თი</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია-თი</b>
ვით.	<b>მამა</b>	<b>პეტრე-დ</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია-დ</b>
წოდ.	<b>მამა</b>	<b>პეტრე</b>	<b>დედა</b>	<b>ეფემია</b>

2.1. თუ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ბიძია, ძია...**) უსწრებენ საკუთარ სახელს, ისინი ფორმაუცვლელად შეეხამებიან მას ყველა ბრუნვაში.

სახ.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-ი</b>
მოთხრ.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო-მ</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-მა</b>

მიც.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო-ს</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-ს</b>
ნათ.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო-ს(ი)</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-ის</b>
მოქმ.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო-თი</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-ით</b>
ვით.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო-დ</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ-ად</b>
წოდ.	<b>დეიდა</b>	<b>ქეთო</b>	<b>ბიძია</b>	<b>ნოდარ</b>

თუ დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მოსდევს პირის სახელს, პრუნვის ნიშნებით გაფორმდება მხოლოდ დანართი.

სახ.	<b>ქეთო დეიდა</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია</b>
მოთხრ.	<b>ქეთო დეიდა-მ</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია-მ</b>
მიც.	<b>ქეთო დეიდა-ს</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია-ს</b>
ნათ.	<b>ქეთო დეიდ-ის/დეიდა-ს(ი)</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია-ს(ი)</b>
მოქმ.	<b>ქეთო დეიდ-ით/დეიდა-თი</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია-თი</b>
ვით.	<b>ქეთო დეიდა-დ</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია-დ</b>
წოდ.	<b>ქეთო დეიდა(-ვ)</b>	<b>ნოდარ</b>	<b>ბიძია(-ვ)</b>

## დასაბუთება

თანამედროვე ქართულში არცთუ იშვიათად საკუთარ სახელთა მსაზღვრელებად (დანართად) დასტურდება ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები. გამოიყოფა დასახელებული ტიპის მსაზღვრელთა რამდენიმე სახეობა: ა) კომპოზიტური (**მამა-შვილი დიუმები, და-ძმა ბაგრა-ტიონები...**); ბ) მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი (**ძმები გრიმები, დები ჭავჭავაძე-ები...**); გ) **დეიდა ქეთო, ნოდარ ბიძია** ტიპის შესიტყვებანი.

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი **მამა-შვილი** ტიპის ფუძეთანხმოვნიანი კომპოზიტი დანართი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) ნათესაობითსა და მოქმედებითში ინარჩუნებს პრუნვისნიშნისეულ **ი** ხმოვნით ელემენტს (ისევე, როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>მამა-შვილ-მა</b>	<b>დიუმ-ებ-მა</b>
მიც.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ით</b>
ვით.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ად</b>
წოდ.	<b>მამა-შვილ-ო</b>	<b>დიუმ-ებ-ო</b>

ფუძეხმოვნიანი კომპოზიტი დანართი **და-ძმა** ტიპისა თავის საზღვრულს (მრავლობით რიცხვში დასმულ გვარს) შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-მა</b>
მიც.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ის</b>

მოქმ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ით
ვით.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ად
წოდ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ო

მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ საკუთარ სახელს, კერძოდ – გვარს, რიცხვშიც ეთანხმება ერთი სახის ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი მსაზღვრელი (მაგ., **ძმები ორბელიანები**, **ძმები გრიმები**, **ძმები კარამაზოვები**, **დები ჭავჭავაძეები**, **დები იშხნელები** და ა. შ.) და შეეწყობა ისე, როგორც ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი, მაშასადამე, ინარჩუნებს ბრუნვისიშნისეულ ი ხმოვნით ელემენტს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი**, **ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ი	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ი
მოთხრ.	ძმ-ებ-მა	გრიმ-ებ-მა	დ-ებ-მა	ჭავჭავაძე-ებ-მა
მიც.	ძმ-ებ	გრიმ-ებ-ს	დ-ებ	ჭავჭავაძე-ებ-ს
ნათ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ის
მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ით	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ	გრიმ-ებ-ად	დ-ებ	ჭავჭავაძე-ებ-ად
წოდ.	ძმ-ებ-ო	გრიმ-ებ-ო	დ-ებ-ო	ჭავჭავაძე-ებ-ო

ზემოთქმულის მიხედვით განისაზღვრება იმ სახის შესიტყვებანიც, როცა გვარი თავად არის მსაზღვრელი (კერძოდ, სუბსტანტიური) და ახლავს საკუთარი დანართი – **ძმები გრიმების ზღაპრები**. ამ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ საზღვრული.

სახ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ი
მოთხრ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-მა
მიც.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ს
ნათ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ის
მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ად
წოდ.	(ძმ-ებ-ი)	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ო

დასახელუბლი ტიპის შემთხვევებში საზღვრული მხოლობითი რიცხვის ფორმითაც დასტურდება.

სახ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა
მოთხრ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-მ
მიც.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ს
ნათ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ის
მოქმ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ით
ვით.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-დ
წოდ.	(დ-ებ-ი)	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ვ)

სასულიერო პირთა სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები **მამა** და **დედა** ყველა ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგებიან – ფორმაცვალებადია მხოლოდ პირის სახელი.

სახ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია
მოთხრ.	მამა	პეტრე-მ	დედა	ეფემია-მ
მიც.	მამა	პეტრე-ს	დედა	ეფემია-ს
ნათ.	მამა	პეტრე-ს(ი)	დედა	ეფემია-ს(ი)
მოქმ.	მამა	პეტრე-თი	დედა	ეფემია-თი
ვით.	მამა	პეტრე-დ	დედა	ეფემია-დ
წოდ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია

თუ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**დეიდა, მამიდა, ბი-ცოლა, ბიძია, ძია...**) უსწორებენ საკუთარ სახელს, ისინი ფორმაუცვლელად შეეხამებიან მას ყველა ბრუნვაში, ხოლო თუ დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მოსდევს პირის სახელს, ბრუნვის ნიშნებით გაფორმდება მხოლოდ დანართი.

სახ.	დეიდა	ქეთო	ქეთო	დეიდა
მოთხრ.	დეიდა	ქეთო-მ	ქეთო	დეიდა-მ
მიც.	დეიდა	ქეთო-ს	ქეთო	დეიდა-ს
ნათ.	დეიდა	ქეთო-ს(ი)	ქეთო	დეიდ-ის/დეიდა-ს(ი)
მოქმ.	დეიდა	ქეთო-თი	ქეთო	დეიდ-ით/დეიდა-თი
ვით.	დეიდა	ქეთო-დ	ქეთო	დეიდა-დ
წოდ.	დეიდა	ქეთო	ქეთო	დეიდა(-ვ)

სახ.	ბიძია	ნოდარ-ი	ნოდარ	ბიძია
მოთხრ.	ბიძია	ნოდარ-მა	ნოდარ	ბიძია-მ
მიც.	ბიძია	ნოდარ-ს	ნოდარ	ბიძია-ს
ნათ.	ბიძია	ნოდარ-ის	ნოდარ	ბიძია-ს(ი)
მოქმ.	ბიძია	ნოდარ-ით	ნოდარ	ბიძია-თი
ვით.	ბიძია	ნოდარ-ად	ნოდარ	ბიძია-დ
წოდ.	ბიძია	ნოდარ	ნოდარ	ბიძია(-ვ)

### ლიტერატურა

1. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
2. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
3. ვაშაკიძე თ., ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ დანართთა მართლწერისათვის, ჩიქობავას საკითხავები, XXXIII, თბილისი, 2022.
4. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
5. შანიძე შ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
6. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახსასიათება, თბილისი, 1998.
7. ცქიტიშვილი ნ., დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, თბილისი, 1983.